პროგრამის სახელწოდება: ხე-ტყის დამზადება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 8

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 25 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა - 200 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 8 **მაქსიმალური** -12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

1. ასაკი +18
2. სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს: ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობების ამოცნობას, უსაფრთხოების წესების დაცვით საჭირო ინვენტარის გამოყენებას, ხის მოჭრის/დამზადების პროცედურების შესრულებას, მოჭრილი ხე-ტყის დახარისხება-გამოზიდვა-ტრანსპორტირებას და სამუშაოს ორგანიზებას ხე-ტყის დამზადებისას. სამუშაოს შესრულებისას თანმდევი რისკების შეფასებას და პრევენციას, საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას.

კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმებას სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ ტყის ფართობებში.

პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

სწავლის შედეგები:

1. პროფესიისა და სამუშაო გარემოს გაცნობა
2. შრომის უსაფრთხოება და პირველადი გადაუდებელი დახმარება სატყეო საქმეში
3. ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები
4. ხის მოჭრა-დამზადების პროცედურები
5. მოჭრილი ხე-ტყის დახარისხება-გამოზიდვა-ტრანსპორტირება
6. სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ სრულწლოვან პირს, რომელიც აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობას და აქვს სურვილი მოკლე დროში შეიძინოს კონკრეტული ცოდნა/უნარები და დასაქმდეს აღნიშნული მიმართულებით.

პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლიობა შეადგენს 8 კვირას, კვირაში - 25 საათი, სულ 200 სთ. პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულია როგორც თეორიული ცოდნის შეძენა (40%), ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება (60%). სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული მეთოდოლოგიით, სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტის შესწავლა განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A გარემო), ხოლო პრაქტიკული კომპონენტის გავლა მოხდება პარტნიორ ორგანიზაციაში, საწარმოს ინსტრუქტორის ჩართულობით, (C გარემო). მაღალი კვალიფიკაციის და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტის მიერ, შრომის უსაფრთხოების და თანამედროვე რეგულაციების გათვალისწინებით.

სწავლებისა და შეფასებისთვის გამოყენებული იქნება პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი მეთოდები (ლექცია, დემონსტრირებით სწავლება, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტრუქტაჟი, გამოკითხვა, პრაქტიკული დავალება-დაკვირვებით).

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ, სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს - დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდა და უნარები.